# ცნობის ფურცელი
## სურათებიანი დამატება

დამატების № 385. | კვირა 5 მარტი, 1906 წ. | გაზეთის № 3019.

საქართველოს რევოლუციის მ[...]
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУ[...]

### მაშმარჯოს ჯარს!

(ფრანგულიდან თარგმნილი).

დრეიფუსის საქმე გაჩაღებული იყო. ჩემთან დილ-დილობით დადიოდა პოლკოვნიკი ბარონ დე-პრესალე, რომელიც შემოსვლის დროს ახველებდა, იფურთხებოდა და იგინებოდა. აი ჩვენი ბაასის მინუშიც:

—კარგს რას იტყვით, ბარონ?

—აი როგორცა ხედავთ, ნელ-ნელა ვმშვიდდები... მაგრამ საშინელი დრო გამოვიარე...

—თქვენი მამულიშვილობა...

—მამულიშვილობაზე კი არ მოგახსენებთ, ჩემს ჩინებზე...

—ეგ ხომ სულ ერთია...

—მართალსა ბრძანებთ—სულ ერთია!

—მაშ საქმე რაშია?

—იმაში, რომ ორი კვირის განმავლობაში სულ იმ შიშში ვიყავი, ვაი თუ კოსმოპოლიტებმა ჩინები ამხადონ მეთქი...

—ეხლა ხომ საქმე მოწესრიგდა, დამშვიდდით.

—დიაღ, ძლივს-ძლივობით. ეხლა შემიძლია თავისუფლად ამოვისუნთქო, მაგრამ ფიქრი და დაკვირვება გვმართებს. თორემ...

პოლკოვნიკი ჩაფიქრდა. კაცს ეგონებოდა, მომავალს ითვალისწინებსო... ამ დროს მივმართე კითხვით:

—ამის შემდეგ როგორ-ღა მოიხსენიებთ თქვენს ბძანებებში იმ კოსმოპოლიტებს, რომელთაც წინად ლორებს უწოდებდით და ყოველ წამს მზად იყავით მუცელი გამოგეფატრათ მათთვის?

—ვნახოთ როგორ წავა საქმე! თუ მთავრობამ ჩვენი მხარი დაიჭირა, მაშინ ნახავთ, რა მკაცრად მოვიხსენიებთ ჩვენს ბძანებაში კოსმოპოლიტებს...

—მთავრობა რომ გამაგრდეს და სასტიკი ზომები მიიღოს თქვენ პრეტორიანულ მიდრეკილების წინააღმდევ?

—მაშინ... მაშინ სხვაა... კრინტსაც არ დავძრავთ... იქნება იძულებულნიც გავხდეთ პატივისცემით მოვიხსენიოთ მათი კანონი და ძროხის მსგავსი რესპუბლიკა... ჯარის-კაცი ვარ თუ არა? მე კარგად მესმის ბძანება... ერთი ორი, ერთი ორი... მიუხედავად ამისა, ჩვენს სამხედრო სამსახურში ბევრი რამ არის უსიამოვნო.—მწუხარებით აღიარა პოლკოვნიკმა.—მაგრამ რას იზამ? მამულიშვილობა...

—ე. ი. ჩინები, პოლკოვნიკო...

—ერთი და იგივეა...

—რასაკვირველია.

მამაცმა პოლკოვნიკმა ოთახში სიარული დაიწყო და სიგარის წევის დროს განაგრძო ბაასი:

—საფრანგეთი დაიღუპა, ის ეხლა კოსმოპოლიტების ხელშია, ეშმაკმა იცის იმათი თავი...

—„კოსმოპოლიტს“ ხშირად ახსენებთ და არ შეიძლება მიბძანოთ, ვის უწოდებთ მაგ სახელს?

—კოსმოპოლიტები?! ეშმაკმა იცის იმათი თავი და ტანი... ჰუჰყიანი პირუტყვები... ზნე დაცემულნი, მამულის გამყიდველნი, მოღალატენი...

—სხვა?

—ხორცის მატლები, ფრანკმასონები...

—არ შეიძლება, უფრო გარკვევით დაახასიათოთ?

—ერთის სიტყვით...

ამ ლაპარაკში პოლკოვნიკს სიგარა გაუქრა. ცეცხლი რომ მოუკიდა, განაგრძო:

—გაიგეთ ახალი ამბავი? თურმე გენერალ გალიფეს სამხედრო მინისტრობა სწადია.

— არაფერი გამიგონია.

— როგორ არა, გადაწყვეტილია თურმე და ამ ნაირად მოისპობა ის, რაც ჩვენ კოსმოპოლიტებისაგან გვარჩევდა. ღმერთმა კარგი მისცეს, კარგი ეს იქნება! ისა სჯობია, ჯარი მოსპონ... მე თქვენ გკითხავთ, რა არის ჯარი? სულტანი და სხვა არაფერი! როგორ-ღა გაარჩევთ ჯარის-კაცს უბრალო მოქალაქისაგან?

— უთუოდ მოხერხდება როგორმე.

— გაზეთებში წაიკითხეთ, რომ დრეიფუსი საფრანგეთში დაბრუნდა?

—როგორ-არა.

— დიდად გმადლობთ, არ მოველოდი!

— თუ უდანაშაულოა?

— უდანაშაულო?! ვინა? ურია... მყრალი ურია? მაგრეც რომ იყოს, რა მერე? ნუ თუ ეგ საკმაოა, რომ დააბრუნონ!..

— რასა ბძანებთ!

—როგორ-თუ რასა ვბძანებ!.. გადაუწყვიტეს სასჯელი თუ არა? გადაუწყვიტეს. სამხედრო სამსჯავრომ დასდო ბრალი თუ არა? დასდო. ურიაა თუ არა? ურიაა. მაშ რაღათ მოიყვანეს? კოსმოპოლიტების მაგივრად რომ ჩვენს ქვეყანას „ჭეშმარიტი პატრიოტები“ განაგებდნენ, მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ისევ გაეგზავნათ თავის კუნძულზე. თქვენა ბრძანეთ, უდანაშაულოაო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ვის გაუგონია, რომ ჯარის-კაცმა თავისი თავი უდანაშაულოდ გამოაცხადოს უფროსის ნება დაურთველად! მერე, როგორ უჭირავს თავი იმ პატიოსან ჯარის-კაცს?

— პირველში ამბობდნენ, მეტად გამოცვლილი და ჩაფიქრებულიაო...

— კომედიაა! სად გაგონილა, რომ უდანაშაულო კაცი ჩაფიქრდეს? აბა შემომხედეთ, ჩაფიქრებული ვარ? რასა ბძანებთ! როცა კაცი უდანაშაულოდ არის დასჯილი, ყვირის, ღრიალებს, არაფრისა ეშინიან და თავი მაღლა უჭირავს—ჯარის-კაცურად.

— სწორედ მაგრე იქცევა დრეიფუსი. პირველი ცნობა მართალი არ გამოდგა. ნამდვილად დრეიფუსი მზად არის თურმე ბრძოლისათვის...

— აშკარათა სჩანს, რომ თქვენი დრეიფუსი მეტიჩარაც არის! უდანაშაულონი ბრძოლას კი არ აცხადებენ, არამედ ქედ-მოხრილნი უცდიან თავიანთ მსჯავრს, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. დამნაშავეა თუ არა დრეიფუსი—სულ ერთია—სასჯელი გადაწყვეტილი აქვს. ხელახლად განხილვა მაგ საქმისა და საფრანგეთის დაღუპვა ერთი იქმნება! აი, რა დამემართა ამას წინად. რამდენმამე ექიმმა მეგობარმა ამას წინედ დოღში ცხენები გამოიყვანა და მე მსაჯულად დამნიშნა, როგორც მიუდგომელი კაცი. დაიწყო დოღი... ცხენები გარბიან... დავბრმავდი თუ სხვა რა დამემართა, არ ვიცი, მხოლოდ ჯილდო იმ ცხენს მივუსაჯე, რომელიც ყველას ჩამორჩა. ჩემი მეგობრები ამეშალნენ, დამიწყეს კამათი.

— თქვენ რაღა ჰქენით, პოლკოვნიკო?

— კარგად მიხვდებოდით—ჩემსას გავიძახოდი, ჩემი გავიყვანე და მერე ვთქვი: „მართალია, მე შევცდი, მაგრამ ნუ



სიკვდილით უნდა დაისაჯოს! სურ. გეისა.

ჩამაცივდებით და აზრს ნუ გამომაცვლევინებთ სამხედრო კაცი რომ არა ვყოფილიყავი, აზრს გამოვიცვლიდი და ჯილდოს იმ ცხენს დავუნიშნავდი, რომელმაც ყველას გაასწრო, მაგრამ მე ჯარის-კაცი ვარ და ჩემი დევიზი—მორჩილება და უცვლელობაა! მე ჩემს აზრს არ გამოვიცვლი და თქვენ, საცა გნებავთ, იქ წაბძანდით...

— სიმართლე, პოლკოვნიკო, სიმართლე სადღა არის?

ღირსეულმა სამხედრო კაცმა ჯვრებით მოფენილ გულზე ხელები დაიკრიფა და მედიდურად წარმოსთქვა:

— სიმართლე? აბა შემომხედეთ მე... ჯარის-კაცი ვარ თუ არა!

— რასა ბძანებთ, თქვენ უფრო მეტად ჯარის-კაცობთ, ვიდრე თქვენი ჩინი ითხოვს?

— მართალსა ბძანებთ!

მამაცმა სამხედრო კაცმა ოთახში სიარული დაიწყო და თან ამბობდა:

— სიკვდილი ურიებს! სიკვდილი ურიებს.

—

დღეს ჩვენმა კოლონიზატორებმა და პატრიოტებმა ნადიმი გამართეს გენერალ არმინარის პატივსაცემად. ნადიმს თავმჯდომარეობდა ბარონ დე პრესალე. ეს შესანიშნავი ამბავი მოხდა კაზინოს რესტორანში. სადილი შესანიშნავი იყო. სიტყვა მრავალი წარმოითქვა. პოლკოვნიკი ჩვეულებრივად მჭევრმეტყველათა და მოსხლეტილად ლაპარაკობდა...

— გაუმარჯოს საფრანგეთს!—დაიძახა და ჭიქა მაღლა აიღო:—თუ ეგვიპტე ვერ დავიპყარით, ფამოდიდან ინგლისელები არ გავყარეთ, ხოლო გერმანელები ელზასიდან, ამაში აქ მყოფნი არ არიან დამნაშავენი!

რამდენისამე წლის წინად გენერალმა არმინარმა „ევროპის გაზეთში“ დაბეჭდა ორიოდე წერილი კოლონიზაციის შესახებ. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, ისედაც განთქმულ გმირს, ლიტერატორისა და კოლონიზატორის სახელი გაუთქვა· არმინარის გეგმა კოლონიზაციისა ერთსა და იმავე დროს მარტივი და დიდებული იყო. აქვე მოგვყავს რამდენიმე მისი მოსაზრება...

„რაც უფრო მეტად დასჯით დამნაშავეს და უდანაშაულოსაც, მით უფრო მეტ სიყვარულს გამოიწვევთ...“

„ხმალსა და მათრახს უფრო დიდი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე მთელ ქვეყნის ტრაქტატებს...“

„ხოცვა და ჟლეტა ხალხისა...“ და სხვა.

ეს აზრები თუმცა არ ახალია ძველია, მაგრამ მე მაინც ვეახელ დიდებულ სამხედრო კაცს ინტერვიუს აზრით. ამისთანა შესანიშნავ კაცის ნახვა ადვილი საქმე არ არის და ამიტომ, ვიდრე ველირსე მიღებას, ბევრი მოლაპარაკება დამჭირდა· ხელი უფრო იმან შემიწყო, რომ წერილები მქონდა შემძლე კაცთაგან და ამ გარემოებამ გადამარჩინა ბევრ ხვეწნასა დათხოვნას. როგორც იყო, ველირსე გენერლის ნახვას. რო იცოდეთ, რანაირად მიცემდა ამ დროს გული!

ცოტა არ არის მკვახედ მიმიღო, მაგრამ სამხედრო ხალხი ასეთს მოქცევას მეგობრულს უწოდებს და, მართალი რო სთქვას კაცმა, ჩემს თანამემამულე ფრანგებს კიდევაც მოსწონთ, გენერალს წითელი ბურნუსი ეცვა, ვეფხვის ტყავზე იჯდა და არაბსავით გძელ ჩიბუხსა სწევდა. მე ცხვრის ტყავზე მიმიწვია დასაჯდომად, მაგრამ ისეთი კილოთი, რომ ბრძანებას უფრო ჰგავდა. დავემორჩილე მიწვევას, და მასთან ძალაუნებურად ავღელდი.

— სამოქალაქო უწყებაში თუ სამხედროში?.. როგორა?.. ვინა ბძანდებით?..

მოკლეთ მომაყარა კითხვები გენერალმა და ამით თავგზა დამიბნია.

— სამხედრო სამსახურში ვირიცხები,—მოწიწებით ვუპასუხე.

— ფუ!—წამოისროლა გენერალმა უკმაყოფილოდ.

ასეთმა შეხვედრამ, ცოტა არ იყოს, ჩამაფიქრა, მეშინოდა, ვაი თუ უსიამოვნობა რამე შემემთხვას მეთქი, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ დროს შემოვიდა არა ჩვეულებრივად ჩაცმული ზანგი, რომელსაც ბოთლებითა და ჭიქით სავსე ხონჩა მოჰქონდა. მე გული მომეცა, რომ ისეთ დროს შევესწარი, როცა ჩვენი გმირი არაყსა და სხვა სასმელებს მიირთმევდა.

— არაყი? როგორა?...—მკითხა დიდებულმა გმირმა.

— არაყს გიახლები...

— ღიმილზე შევატყე, რომ ჩემმა განცხადებამ დააკმაყოფილა და იქნება სუდანის განმანათლებელი პატივისცემაც დამიმსახურე·

ვიდრე გენერალი თავის სასმელს მოამზადებდა, მე ოთახის თვალიერება დავიწყე. ოთახი სველი იყო, კარსა და ფანჯრებზე აღმოსავლეთის ქსოვილები იყო ჩამოფარებული· კედლებზე საშინელი და სხვადასხვანაირი იარაღი იყო ჩამოფარებული. ბუხარზე ვაზები იდგა და შიგ ყვავილების მაგივრად თმიანი თავის კეფა იყო ჩამდგარი. ვაზებს შუა იაგაურის თავს თავის საშინელ კბილებში ეჭირა შუშის ბურთი, რომელშიაც მოთავსებული იყო საათი. მაგრამ ყველაზე დიდი ყურადღება მიიქცია კედლებმა, რომლებზედაც გაკრული იყო თხელი, წმინდა და მაგარი ტყავი. ეს ტყავი ალაგ-ალაგ მოიყვითლებდა, ზოგან უფრო მუქი იყო, თან იმისთანა სუნი უდიოდა, რომ სული მეხუთებოდა.

— ჩემს ტყავებს აკვირდებით?—სთქვა უცებ გენერალმა.

— ამის თქმაზე სახე გაუბრწყინდა და თან სიამოვნებით ყნოსვა დაუწყო ტყავის სუნს.

— დიაღ,—ვუპასუხე მე.

— გაკვირვებთ?.. როგორა?..

— მართალსა ბძანებთ.

— ეგ ზანგების ტყავია.

— ზანგების...

— დიაღ, ზანგების ტყავი!... შესანიშნავი აზრია განა...

ჩემს თავს შევატყე, რომ ფერი მეკარგებოდა, ზიზღისაგან კუჭი ამერია და გულმა ზიდება დამიწყო, მაგრამ ჩემს თავს ძალა დავატანე და ძალა აბზინდის დალევით მოვიკრიბე.

— ბრწყინვალე აზრია·—დავუკარი კვერი მეც.

გენერალი არმინარი, ეტყობოდა, ჩემი პასუხით დაკმაყოფილდა.

— ამ სახით რომ მოვიხმაროთ ზანგები, ისე უსარგებლონი არ იქნებიან, როგორც აქამდის იყვნენ და ჩვენი კოლონიები მცირე შემოსავალს მაინც მოგვცემენ. ამ საგანზე ყოველთვის და განუწყვეტლივ ვლაპარაკობ... აბა გასინჯეთ ტყავი.. პირველი ხარისხისაა... ეხლა კიდევ მოინდომებენ კორდოუში გამაგრებას?

ადგილებიდან ავიშალენით და კედლებზე გაკრულ ტყავებს დავუწყეთ სინჯვა. გენერალი ყოველ წამს იმეორებდა:

— დიდებული აზრია... როგორია? აბა გასინჯეთ—რა ლამაზი, მაგარი და მოხდენილია, ბუდჯეტისთვის დაუფასებელი განძია! როგორია?



გრიგოლ ნახუცრიშვილი

(იხილე დღევანდელი „ცნობის ფურ.“)

მე სხვა და სხვა ტეხნიკურ კითხვას ვაძლევდი, ვითომდა იმ აზრით, რომ გამეგო, რამდენად სარგებლიანია საქმე.

— რამდენი ტყავი მოუნდება ამნაირ ოთახის გაკვრას?

— ორთა შუა რიცხვით ას ცხრა, დაახლოვებით ერთი პატარა სოფლის მკვიდრნი, თუმცა სულ აქ არ დაიხარჯება... ტყავში, განსაკუთრებით ქალისაში, არის მეტად თხელი და მოქნილი ნაწილი, რისგანაც უფრო ძვირფასი ნივთები კეთდება... მაგალითად, ფულის ქისა, ჩემოდანი. ხელთათმანი... აჰ, აჰ, აჰ!

თუმცა სიცილში წავბაძე, მაგრამ გული აღშფოთებული მქონდა გენერლის კოლონიალური პოლიტიკით.

ტყავები რომ კარგად გავშინჯეთ, ჩვენი ადგილები დავიჭირეთ და გენერალმა განაგრძო თავისი განმარტება;

— მე ჭირივით მეჯავრება გაზეთები და მათთან ერთად ჟურნალისტებიც; მიუხედავად ამისა გმადლობთ მოსვლისათვის, რადგან იმედი მაქვს ხალხს აცნობებთ ჩემს აზრებს, რომელნიც ორი სიტყვით ასე გამოიხატება..· კარგად იცოდეთ, რომ მაღალ ფრაზების მომხრე არა ვარ... მიზანს პირდაპირ ვუახლოვდები... მაშ ყური მიგდეთ.·· ხალხის განათლება მარტო იმის ამოხოცვით შეიძლება, დამოკიდებულებაც უნდა იქონიოთ დაპყრობილ ხალხთან, და უკანასკნელს თავის დღეში ვერ დააკმაყოფილებთ! ამ ნაირად ხალხის ამოხოცვით და გაჟლეტით ყოველსავე უსიამოვნებას ვსპობ... აქ იბადება სხვა საკითხი, რომელსაც არსებითად სანიტარული ხასიათი აქვს—ზანგების მძოვრებს შეუძლიანთ ჰაერი მოწამლონ და ამის თავიდან ასაცილებლად ტყავს ვაძრობ და თქვენთვის უკვე ცნობილ ტყავს ვაკეთებ. ტყავი შესანიშნავი გამოდის!.. მოკლეთ რომ ვსთქვათ, ერთის მხრით აჯანყების და ამბოხების თესლსა ვსპობ და მეორეს მხრით ვაჭრობას იშვიათ დარგსა ვმატებ. გეგმა ასეთია... ყოველის მხრით გამოსადეგია... რას იტყვით თქვენა?

— ტყავის შესახებ გეთანხმებით, მაგრამ ხორცს რაღას უშვრებით? საჭმელად ხმარობთ, თუ სხვა რამეზე ხმარობთ.

პატარა ხნის ფიქრის შემდეგ, გენერალმა მიპასუხა:

— ხორცი?·. სამწუხაროდ ზანგის ხორცი არ იჭმევა. მავნებელია, თუმცა კარგად რომ მომზადდეს, კონსერვებად ივარგებს სალდათებისთვის· ამ საქმის გამოკვლევა საჭიროა... ამ ცოტა ხანში მოხსენება მინდა წარვუდგინო მთავრობას, მაგრამ იმედი არა მაქვს.

გენერალმა აქ უფრო ნდობით დამიწყო ლაპარაკი:

— ჩვენი დამღუპავი ჩვენივე გულჩვილობაა· ყოველთვის წინააღმდეგნი ვართ სასტიკ ზომებისა. კიდევ კარგი, რომ ზანგების შესახებ ბევრს ვერაფერს დაგიდევენ და მთელი ხალხი რომ ამოხოცო, ხმას არავინ გაგცემს. აბა სცადეთ და ჩვენ კაცს ახლით ხელი: ასეთს საქმეს დაგმართებენ, რომ თქვეს სიცოცხლეში არ დაგავიწყდებათ.. ეხლა თქვენა გკითხავთ რისთვის ვინახავთ საპატიმროებში ათასობით და ასი ათასობით ტუსაღებს? აუარებელ ფულსა ვხარჯავთ და სამაგიეროდ რა შემოაქვთ? იქნება თქვენ მომცეთ ამისი პასუხი? აბა დაუფიქრდით, რა კარგი საქმე იქნებოდა ჯარისთვის რომ პატიმარნი ტყავის კეთებაში გამოგვეყენებინა. ყველა ანთროპოლოგი გეტყვით, რომ დამნაშავეთა ტყავები იშვიათის თვისებისაა..· აბა ეხლა ამ საგანზე ხმა ამოიღეთ, ან ჩვენ კაცს ხელი ახლეთ!



გრ. ნახუცრიშვილის მიერ გამოგონილი მანქანა უმავთულო ტელეგრაფისა.

—მე ერთი აზრი მომივიდა,—შევაწყვეტინე გენერალს ლაპარაკი,—იგი თუმცა არა ჩვეულებრივია, მაგრამ საუცხოვოა.

—ბძანეთ!

—ნუ თუ არ შეიძლება ჩვენები ზანგების ფრად შევღებოთ...

—კარგი... მერე?

—მერე დავხოცოთ და ტყავი გამოვიყენოთ...

გენერალი დაფიქრდა. პატარა ხანს უკან მომიგო:

—არა, ეგ არ შეიძლება! მაგნაირი ტყავი უპატიოსნო გზით იქნება ნაშოვარი და არ ივარგებს... მე ჯარის-კაცი ვარ, პატიოსანი ჯარის-კაცი! ეხლა-კი კმარა.... მე სამუშაო მაქვს. დავლიე ჭიქაში ჩარჩენილი აბზინდა და წამოვედი.

უნდა ვაღვიარო, რომ შეხვედრა ასეთ გმირთან კაცის გულში ჰბადებს სიხარულს და ეროვნულ სიამაყეს—ამ კაცებშია განხორციელებული სამშობლოს სულიერი ძალა.



ეს მეორე!.. ნუ თუ ბოლო არ უნდა ჰქონდეს ჩვენს ტანჯვას?..



— სულ უბრალო და უებარი წამალი საჭირო ავადმყოფის მოსარჩენად და გამოსაფხიზლებლად ანბანი,

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 372.